საიას განცხადება 13 ივნისის ტრაგედიასთან დაკავშირებით

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ღრმა მწუხარებას გამოხატავს იმ უდიდესი ტრაგედიის გამო, რაც 13 ივნისს მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად თავს დაატყდა თბილისისა და ახლომდებარე ტერიტორიების მაცხოვრებლებს.

არავის შეუძლია შეამსუბუქოს ის უდიდესი ტკივილი, რაც ახლობელი ადამიანების დაკარგვითაა გამოწვეული. ამასთან, ათობით ოჯახმა დაკარგა საცხოვრებელი, განადგურდა თბილისის ზოოპარკი, ქალაქის ინფრასტრუქტურა.

ამ მძიმე წუთებში უმნიშვნელოვანესია დაზარალებულთა მიმართ თანადგომა და საზოგადოების ერთიანობა.

საიას თანამშრომლები გუშინდელი დღიდან აქტიურად არიან ჩართული დაზარალებულთა დასახმარებლად მიმდინარე ღონისძიებებში. გამოვთქვამთ მზადყოფნას, თანამოქალაქეებთან ერთად გავაგრძელოთ მოქმედება, რათა საერთო ძალებით გავუმკლავდეთ ამ უდიდეს ტრაგედიას და მის შედეგებს.

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge